



გენდერული თანასწორობა



ქალიან მნიშვნელოვანია, იყო ნამდვილი ქალის და პოლიტიკოსის

თბილისის საკრებულოში არჩეული 37 დეპუტატიდან მხოლოდ 4 ქალია. ეს დაახლოებით 10,8 პროცენტია და მთელი საქართველოს მასშტაბით არსებულ საშუალო მაჩვენებელს (11,5%) თითქმის უტოლდება. თუმცა დედაქალაქის საკრებულოს ნამდვილად შეუძლია თავისი წევრი ქალებით იამაყოს, მაგალითად, არაჩვეულებრივი ქალბატონი თამარ ნუცუბიძი, რომელიც დიდი ქართველის - შალვა ნუცუბიძის ქალიშვილი და მისი ღირსეული შთამომავალი გახლავთ. როგორ მოხვდა იგი თბილისის საკრებულოში? თავად ამბობს, რომ პოლიტიკურ მოღვაწეობაზე არასდროს უფიქრია, არც რაიმე თანამდებობის დასაკავებლად გარჯილა ოდესმე, მაგრამ მიაჩნია, რომ დედაქალაქის საკრებულოში არჩევა იყო მისი ცხოვრების და საქმიანობის ლოგიკური გავრცელება.



თამარ ნუცუბიძე

თამარ ნუცუბიძე: "ეს განაპირობა არაერთმა ფაქტორმა და, პირველ რიგში, ალბათ, ჩემმა ხასიათმა, რომელიც ბავშვობიდან მომყვება - ყოველთვის ყველა საქმის მოთავე და სულისჩამდგმელი ვიყავი, 12 წლისას უკვე საკუთარი თეატრი მქონდა და ვხელმძღვანელობდი... მეორეც - სტუდენტობისას, შემდეგ როცა მუშაობა დავიწყე - ყოველთვის ვიყავი საზოგადოებრივად აქტიური და ჩემი იდეების პრაქტიკაში რეალიზებას ვახერხებდი კიდევც." ქალბატონი თამარი, პროფესიონალი ფილოლოგი, 25 წელია რაც ლექციების კითხულობს და მის ხელში არაერთმა თაობამ გამოიარა.

"საერთოდ, ხელისუფლება ყოველთვის ცდილობს - და ეს ბუნებრივია - მოიყვანოს თავის რიგებში ადამიანი, რომელიც თვითონაც აქტიურია და თან დაკავშირებულია საზოგადოების ფართო მასებთან - სტუდენტური აუდიტორია ყოველთვის დიდია, ხომ? მნიშვნელოვანი იყო, ცხადია, ოჯახის და მამაჩემის - შალვა ნუცუბიძის ფაქტორიც. თუმცა არასდროს მქონია მცდელობა, გყოფილიყავი რაიმე თანამდებობაზე, მაგრამ როდესაც საკრებულოში კენჭისყრა შემომთავაზეს, უარი არ მიმიტყვამს და არც ძალიან გამკვირვებია."

ქალბატონი თამარი ვაკის რაიონის მაჟორიტარი გახლავთ, იგი უკვე საკრებულოს სამ კომისიაში მუშაობს - ძველი თბილისის, კულტურისა და საქალაქო მეურნეობის კომისიებში. ამ უკანასკნელის წევრობა თავად მოინდომა და ახლა უწევს, თვალყური ადევნოს ისეთი საკითხების მოგვარებას, როგორცაა: ასფალტის დაგება, წყალგაყვანილობა, განათება და ა.შ. "როცა საკრებულოს წევრი გავხდი, პირველი დღიდანვე შევქმელი დავხმარებოდი ჩემს უბანს ძალიან სერიოზული პრობლემის მოგვარებაში - ჩვენი უბანი დიდ ხნის განმავლობაში იყო ჩანგლებული. საღამოს ფანრები რომ აინთო და ქუჩა განათდა, ეს ძალიან სასიხარულო იყო ჩემთვის, მოგეხსენებათ, ფილოლოგ ასეთი შესაძლებლობები არა აქვს." - ამბობს ქალბატონი თამარი; მას მიაჩნია, რომ უინტერესო სამუშაო არ არსებობს, რადგანაც ადამიანს უნდა ჰქონდეს უნარი, სამუშაო საინტერესო თავად გახადოს. "ჩვენში მამაკაცები ჯერ კიდევ ცდილობენ ქალს, ასე ვთქვათ "თავისი ადგილი მიუჩინონ" ოჯახშიც, სამსახურშიც... თუმცა ძველი მიდგომა, რასაკვირველია, შეცვლილია და ვფიქრობ, რომ ეს ძალიან სწორია. ეს არის ქალის ასევე უფრო მაღალ საფეხურზე, იმიტომ რომ ქალებმა, ვერ ერთი, ამდენი ვიბრძოდნენ, რომ საარჩევნო უფლება მოგვეპოვეთ. თქვენ წარმოიდგინეთ, ამერიკამაც კი მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში მისცა ქალს არჩევანის უფლება. ცხადია, 5-6 შეილის გაჩენა და აღზრდა, ასევე, დიდი მნიშვნელობის საქმეა, იმიტომ რომ საქართველო დემოკრატიული პრობლემის წინაშე დგას და ეს გვიბრუნებს ტოლფასობაზე, იქნებ, დეპუტატმა ქალმა ამდენი ვერ გაუქეთოს ქვეყანას, მაგრამ რასაკვირველია, დღევანდელი დღე აძლევს ქალს საშუალებას, რომ მან თავისი თავის რეალიზება მოახდინოს ენდროლოგად ოჯახშიც და გარეთაც და ეს ძალიან მისასალმებელია, - ამბობს ქალბატონი თამარი. - მიაჩნია, რომ ქალს აქვს უფრო მეტად განვითარებული ინტუიცია, არის საკითხები, სადაც ქალი უფრო მგრძობიარეა. ახალი თაობა კარგად დააბალანსებს ამ ურთიერთობას, თუმცა ერთი რამ აუცილებლად გასათვალისწინებელია: ქალმა ქალურობა უნდა შეინარჩუნოს. დღეს ქალმა იმას მიაღწია, რომ მამაკაცი, როგორც თავყანისმცემელი, და-

კარგა, ის აღარ არის მუზა, შთაგონების წყარო და ეს ძალიან სამწუხაროა. და ამის დაბალანსებას თუ შევძლებთ ქართველები, სადაც კიდევ შენარჩუნებულია ეს დამოკიდებულება, ძალიან კარგი იქნება. იყო ნამდვილი ქალიც და საზოგადოებრივი მოღვაწეც, პოლიტიკოსიც, შეძლო წარმონიულად შეათავსო ეს ორი მხარე - ეს ძალიან მნიშვნელოვანია."

რაც შეეხება საკრებულოში მუშაობას, ქალბატონი თამარი ფიქრობს, რომ ახალი ხელმძღვანელობის მოსვლასთან ერთად ახალი პერსპექტივა გაჩნდა: "ბატონი ზაალი სამადაშვილი მწერალია, ტოლერანტი, ლიბერალი ადამიანი, ვფიქრობ, იგი დავუვხმარებ, რომ ქალები უფრო აქტიურად ჩაერთონ ქალაქის პრობლემების მოგვარებაში."

როგორც აღვნიშნეთ, ქალბატონი თამარის აზრით, ახალი თაობა კარგად დააბალანსებს ქალთა და მამაკაცთა წარმომადგენლობას გადანაწილებების მიმდებარე. სწორედ ამ ახალ თაობას ეკუთვნის თბილისის საკრებულოს ყველაზე ახალგაზრდა წევრი 28 წლის სოფო გიორგაძე. სოფო ენერჯიული და მონდომებულია, უყვარს თავისი საქმე; სულ ახლახან იგი ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი



სოფო გიორგაძე

საბჭოს წევრიც გახდა და პარალელურად ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესში საქართველოს დელეგაციაშიც შეიყვანეს. ეს ცხადია, მისთვის ახალი გამოწვევა და ახალი გამოცდაა, რომელიც ახალ გამოცდილებასაც მოუტანს.

სოფო გიორგაძე კრწანისის რაიონის მაჟორიტარია: "კარგად ვიცნობდი ჩემი რაიონის პრობლემებს, რადგანაც ყოველდღიურად ვხვდებოდი და ვესაუბრებოდი მოსახლეობას და ცხადია, სურვილი მქონდა ეს პრობლემები მომგვარებინა." - ამბობს იგი. სოფო თბილისის საკრებულოს ჯანდაცვის განათლებისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილეა და, ასევე, არის ბუნებრივი რესურსების კომისიის წევრი.

მას მიაჩნია, რომ ქალები უფრო აქტიურად უნდა ჩაერთონ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში: "ისტორიაც გვიჩვენებს, რამდენად დიდი ქალების შესაძლებლობები - ხშირად გადაამწყვეტ რაღაც ქვეყნის ცხოვრებაში ისეთი ქალები ასრულებდნენ, რომლებსაც საზოგადოება

განსაკუთრებით აფასებდა მათი გამჭრიახობის, მაღალი ზნეობისა და მტკიცე ხასიათის წყალობით. ქალში იმდენად დიდი პოტენციალია, რომ თუ ხარ პიროვნება, შეძლებ წარმატებას მიაღწიო საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც და ოჯახშიც. მითუმეტეს დღეს. მთავარია, შენი საქმე გიყვარდეს და გჯეროდეს, რომ მიზანს მიაღწევ."

სოფო გიორგაძე საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმის წევრიცაა და სისტემატურად ესწრება ტრენინგებს და შეკრებებს. მას მიაჩნია, რომ ამგვარი მუშაობა ძალიან მნიშვნელოვანია გამოცდილების გაზიარებისა და ცოდნის მიღების თვალსაზრისით: "მინდა, მაძლიერებდეს და გავაძლიერებ გავროს განვითარების პროგრამის პროექტს "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში", რომელიც საკრებულოს წევრ ქალებს აძლევს საშუალებას, მიიღონ საჭირო ცოდნა, აიმაღლონ კვალიფიკაცია, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება, ღონისძიებები - შეხვედრები სხვადასხვა თანამდებობის პირებთან პრობლემურ საკითხებზე თუ სხვ." რაც შეეხება საკრებულოში მუშაობას, იგი მოხარულია, რომ მოიმტკიცა საბავშვო ბაღებში კვების დაფინანსება: "ამ გადანაწილებას ყველამ ერთხმად დაუჭირეთ მხარი. ახლა

შეხვედრაზე თუ არა მოხავალ პარლამენტში ქალთა რაოდენობა?

გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში" ფარგლებში, მიმდინარე წლის 14 აპრილს გაიმართა მრავალი მაგიდა თემაზე "საარჩევნო კანონმდებლობა და ქალთა მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში".

დისკუსიაში მონაწილეობდნენ ექსპერტები, გენდერულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ქალთა ჯგუფების წარმომადგენლები.

შეხვედრაზე განიხილეს საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებები და მათი გავლენა ქალთა წარმომადგენლობაზე.

ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის ექსპერტმა ალექსანდრე სვანიშვილმა ისაუბრა საარჩევნო კოდექსში შესულ ცვლილებებზე. პროექტის "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში" ექსპერტმა თამარ

ბაგრატიამ ისაუბრა იმ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას მოახდენს ქალთა რაოდენობაზე პარლამენტში. მისი აზრით, პარლამენტში მანდატების შემცირებული რაოდენობა, ასევე, პროპორციული საარჩევნო მანდატების ხვედრითი წილის შემცირება და ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების არსებობა, საარჩევნო ბარიერის 5%-მდე დაწევა ქალთა რაოდენობას მომავალ საკანონმდებლო ორგანოში მნიშვნელოვნად შეამცირებს. ქალთა რაოდენობის იმავე ნიშნულზე შენარჩუნებისათვის ან გაზრდისათვის უმთავრესია პოლიტიკური პარტიების პოლიტიკური ნება, ხელი შეუწყონ პარტიულ სივრცეში ქალთა კანდიდატურების წამოყენებას.

საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ასევე, ისაუბრეს იმ აქტივობებზე, რომლებსაც იხინი გეგმავენ საპარლამენტო არჩევნებისათვის ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის ხელშეწყობად.

მსოფლიოს ქალები - ადგილობრივი ხელისუფლებაში

შირლი ფრანკლინი - პირველი აფროამერიკელი ქალი მერი

2001 წელს ატლანტის მოსახლეობამ ხმათა 50%-ით ქალაქის მერად შირლი ფრანკლინი აირჩია. ის ატლანტის პირველი ქალი მერი გახდა და პირველი აფროამერიკელი ქალია, რომელმაც მერის პოსტი დაიკავა უმნიშვნელოვანეს სამხრეთულ შტატში.

შირლი ფრანკლინი 1945 წელს დაიბადა. ის დემოკრატიული პარტიის წევრია. პროფესიით სოციოლოგია, 2002 წელს კი სამართლის საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭეს.

"სიამაყით წარმოვადგენ ყველა იმ ქალს, რომლებიც მუშაობენ მინდორში, ტრიალებენ სამხარეულოებში, იბრძვიან ჩვენი უფლებებისათვის," - განაცხადა მან ინაუგურაციის დღეს.

"ატლანტა არის ახალგაზრდა, ენერჯითი სავსე ქალაქი, რომელიც ცნობილია ძლიერი, დამოუკიდებელი ქალი მერით," - წერს "Christian Science Monitor".

მოსახლეობის და, განსაკუთრებით, ბიზნეს-სექტორის წარმომადგენელთა მხარდაჭერით იგი 2005 წლის 8 ნოემბერს კვლავ მერად აირჩიეს, ამჯერად უკვე ამომრჩეველთა ხმების 90%-ით.

2005 წელს ჟურნალმა "TIME" შირლი ფრანკლინი ამერიკელი მერების საუკეთესო ხუთეულში დაასახელა, ხოლო 2005 წელს ის ამერიკულ გამოცემაში 2005 წლის საუკეთესო ლიდერების სიაში შევიდა.

2006 წელს იგი დასახელდა იმ 8 ქალს შორის, რომელთაც განიხილავდნენ პრეზიდენტობის პოტენციურ კანდიდატებად. კანდიდატურებს შორის ატლანტის მერი ერთადერთი იყო, რომელსაც სენატორის ან კაბინეტის წევ-



შირლი ფრანკლინი

რის პოსტი არ ეკავა. ამ სიაში აფროამერიკელ ქალებს შორის იგი კონდოლიზა რაისთან ერთად იყო წარმოდგენილი.

"ახალგაზრდობაში ვოცნებობდი, ბალერინა გამოვსულიყავი, ვერასოდეს წარმოვიდგენდი თუ პოლიტიკაში მოვიდოდი, - ამბობს შირლი ფრანკლინი. - ჩემზე ამბობდნენ: "ის უფრო დაბალი და უფრო ქერაა, ვიდრე უნდა იყოს ქალაქის მერი", მე კი ვფიქრობდი: "შემიძლია ვმართო სიმალეები, მაგრამ არ შემიძლია შევცვალო ჩემი თმის ფერი". ყველაზე უფრო რაც გამიკვირდა, ეს იყო ჩემი გამარჯვება არჩევნებში და ვიყავი ძალიან ბედნიერი, რადგან ეს იყო გამოწვევა, გამოწვევა ემოციური, გამოწვევა ინტელექტუალური და გამოწვევა ახალი გზების მოსაძებნად, რომ ჩემი ქალაქი არაჩვეულებრივ ქალაქად შექცია".

სასარგებლო ტერმინები

გენდერი - სოციალურ - ფსიქოლოგიური ფენომენი, რომელიც გულისხმობს სოციალურად კონსტრუირებულ სქესს, მასთან დაკავშირებულ თვისებებსა და ქცევას. უკანასკნელი პერიოდის კვლევების შედეგად მკვეთრი ზღვარი გაივლო სქესსა და გენდერს შორის.

გენდერული როლები - კულტურაში არსებული სოციალური მოლოდინები იმის შესახებ, თუ მოცემულ საზოგადოებაში რა არის ქალისა და მამაკაცისათვის შესაბამისი როლები.

გენდერული თანასწორობა - მდგომარეობა, როდესაც ქალები და მამაკაცები სარგებლობენ ერთნაირი სტატუსით. გენდერული თანასწორობა გულისხმობს ადამიანის უფლებათა რეალიზაციის თანაბარ პირობებსა და შესაძლებლობებს.

გენდერული სტერეოტიპები - ფართოდ გავრცელებული შეხედულებები ქალისა და მამაკაცის უნარებზე, თვისებებზე და ქცევაზე.

გენდერული ბალანსი - ქალისა და მამაკაცის თანაბარი წარმომადგენლობა ცხოვრების ნებისმიერ სფეროში: პოლიტიკაში, ეკონომიკაში, ბიზნესში, განათლებაში და სხვა.

გვერდი დაფინანსებულია გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში" ფარგლებში